ვამტკიცებ:
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურის უფროსი, სახელმწიფო დაცვის
გენერალ-მაიორი

ანზორ ჩუბინიძე

29 მარტი 2021წ.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით ადმინისტრაციული ორგანოებისთვის განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების 2021 წლის სამოქმედო

გეგმა

1. საფუძველი

სამოქმედო გეგმის საფუძველია:

ა) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“;

გ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული 2021-2035 წლების ერთიანი სტრატეგია და წლიური სამოქმედო გეგმები;

დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციისათვის პასუხისმგებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

2. მიზანი

სამოქმედო გეგმის მიზანია:

ა) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;

ბ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში და სპეციფიკის გათვალისწინებით ადეკვატური ზომების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის და მათთვის აღნიშნული გარანტიებით სარგებლობისთვის რეალური პირობების შესაქმნელად;

3. განსახორციელებელი ღონისძიებები

N	ღონისძიების შინაარსი	შემსრულებელი	განხორციელების ვადა
1.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამსახურის სისტემის და სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად: ა) განხორციელდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების შესწავლა-დათვალიერება, დაზუსტდეს კონკრეტული ობიექტები, რომლებიც საჭიროებს ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, ობიექტების მიხედვით განისაზღვროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის კუთხით სათანადო ადაპტირებისთვის საჭირო სამუშაოები და მისი სისრულეში მოყვანისთვის მისაღები ზომები (სარემონტო-სარეკონტრუქციო სამუშაოები, საჭირო საქონლისა და მომსახურეობის შესყიდვები). ბ) ყურადღება გამახვილდეს ობიექტებზე, რომლებზეც ხორციელდება სათანადო სერვისის მიწოდება პირთა შესაბამისი კატეგორიისათვის (ქ. თბილისის და ქ.ბათუმის აეროპორტების სამთავრობო გასასვლელები, სახელმწიფო ცერემონიების სასახლე), რომლებზეც ცალკეულ შემთხვევებში იმართება წარმომადგენლობითი და ცერემონიალური ღონისძიებები მოწვეული და მსურველი მოქალაქეების დასწრებით, აგრეთვე ობიექტებზე, სადაც მისვლა შეიძლება მოუწიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც სურს ოფიციალური ფორმით (განცხადება, წერილი და ა.შ.) მომართოს დაწესებულებას;	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის: - ეკონომიკური დეპარტამენტი, - ობიექტებზე დისლოცირებული სამსახურის შესაბამისი დანაყოფები; - საჯარო სამართლის იურიდიული პირები	არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა
2.	წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული წინადებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სამსახურის სისტემაში არსებული სერვისების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მისაღები ზომების (შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული პროგრამები და მასალები, მათ შორის აუდიოწიგნი, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) შესახებ, აღნიშნულის რეალიზებისათვის საჭირო რესურსების თაობაზე;	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის: - სტრუქტურული დანაყოფები; - საჯარო სამართლის იურიდიული პირები	არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა
3.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, სამსახურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული გასატარებელი ღონისძიებების დროული განხორციელება, საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვა დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების ან/და არსებული შემოსულობის ფარგლებში;	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის: - ეკონომიკური დეპარტამენტი, - საჯარო სამართლის იურიდიული პირები	არაუგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლისა
4.	დაცვის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ღონისძიების ჩატარების/მიმდინარეობის ადგილებზე საჭიროებიდან გამომდინარე დროებითი შეზღუდვების განსაზღვრის დროს, გათვალისწინებული იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კანონიერი ინტერესები და მოხდეს მათ უფლებებთან უსაფრთხოების მიზნით მიღებული ზომების გონივრული მისადაგება იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი დისკრიმინაციის შესაძლებლობა;	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის - სტრუქტურული დანაყოფები;	მუდმივად
5.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათი უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე სუბიექტებთან თანამშრომლობა, მათი ინტერესების დაცვის თანამედროვე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა-გაზიარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისთვის, სამსახურის სისტემაში თანამშრომელთა შესაბამისი აუცილებელი კონტინგენტის განსაზღვრა და შშმ პირებთან კომუნიკაციის საკითხებზე მათი კვალიფიკაციის ამაღლება.	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)	სისტემატიურად

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
STATE PROTECTION SERVICE OF GEORGIA
SPECIAL
01